ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ჯუმბერ ბერძენიშვილს
მუნიციპლიტეტის მერის მინდია ჟღერიას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე”.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის შედეგად განხორციელებული ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად უქმდება მერიის ზედამხედველობის სამსახური და ფუძნდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექცია“, რომელიც იქნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამართალმემკვიდრე და განახორციელებს უფლებამოსილებას მოქმედი კანონმდებლობით ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოზე განსახილველად წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს -„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N37 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე”.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია

მუნიციპალიტეტის მერი: **მინდია ჟღერია**